

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის

პროგრამული დანართი

შესავალი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და ამ დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგია, სხვა მეთოდურ მითითებებთან ერთად, განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების შედგენის ფორმატს, ბიუჯეტის სტრუქტურას, დანართებს და ინფორმაციის ჩამონათვალს თუ რას უნდა მოიცავდეს წლიური ბიუჯეტის პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდა 2019 წლიდან. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავდა და ახლებურად არის წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის ფორმატი, შეცვლილია პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის დანართიც სწორედ ახალი მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული.

პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მოცემულია ლაგოდეხის 2021 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი. პროგრამების (ქვეპროგრამების) აღწერა და ასიგნებების საპროგნოზო მოცულობები წარმოდგენილია მომავალ 4 წლზე, ხოლო მოსალოდნელი შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები ხშირ შემთხვევებში მოიცავს მხოლოდ 2021 წელს. შემდგომ წლებში, ისევე როგორც პროგრამების აღწერა და მიზანი, ასევე მოსალოდნელი შედეგებიც და შედეგების შეფასების ინდიკატორები კიდევ უფრო მეტად დაიხვეწება და წარმოდგენილი იქნება დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომ 3 წელზე.

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9,508.82	15,056.01	3,758.79	4,417.50	4,950.20	5,445.50
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,887.49	8,483.33	2,373.79	2,304.50	1,985.20	2,880.00
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება	0.00	150.00	150.00	200.00	200.00	200.00
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	5,887.49	8,333.33	2,223.79	2,104.50	1,785.20	2,680.00
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	0.00	0.00	0.00			
02 02	წყლის სისტემების განვითარება	507.15	1,893.66	85.00	750.00	645.00	1,045.50
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	0.00	84.20	85.00	100.00	100.00	100.00
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია	507.15	1,809.46	0.00	650.00	545.00	945.50
02 03	გარე განათება	639.50	931.61	540.00	690.00	1,570.00	760.00
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	0.00	210.90	90.00	90.00	110.00	110.00
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	639.50	720.71	450.00	600.00	1,460.00	650.00
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხვითი შენობების მშენებლობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	0.00	0.00	-			
02 04 02	ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.00	0.00	-			
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	113.53	66.50	60.00	73.00	100.00	110.00
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	86.50	6.60	0.00			
02 05 02	საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-პატრონობა	0.00	0.00	0.00	3.00	10.00	20.00
02 05 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	27.03	59.90	60.00	50.00	60.00	60.00
02 05 04	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	0.00	0.00	0.00			
02 05 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	0.00	0.00	0.00	20.00	30.00	30.00
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1,194.69	1,423.08	0.00			
02 07	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,166.47	1,444.17	0.00			
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.00	813.66	700.00	600.00	650.00	650.00

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება				
	02 01					
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 3200 კვ/მ გზას;	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა	10%	საგზაო ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ მოვლა-შეკეთებას, შესაბამიად კონკრეტული პერიოდისთვის შესაძლებელია ვერ განხორციელდეს მუნიციპალური გზების სრული მოცვა
	2	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების მიმდინარე შეკეთება	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 10000 ბენეფიციარი.	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლისა	10%	
	3	გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში კაპიტალური რეაბილიტაცია ჯამში ჩაუტარდება 33986 გრძ/მ გზას;	2021 წელს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 5679 გრძ/მ-ზე	10%	მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური რესურსების მობილიზების ხარჯზე;
	4	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით, სადაც ჩატარდა გზების დაკავშირებული ინფრასტრუქტურის კაპიტალური შეკეთება	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 35250 ბენეფიციარი.	2021 წელს რეაბილიტირებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 2650 ბენეფიციარი.	10%	

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება				
	02 01 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ა/ბეტონის საფარიანი შიდა გზების ორმოულ შეკეთებას.</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	გზების სიგრძე, რომლებზეც ჩატარდა სამუშაოები	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე შეკეთება ჩატარდება 3200 კვ/მ გზას;	არანაკლებ მაჩვენებლისა	10%	მიზნობრივი მაჩვენებელი დამოკიდებული აწლის განმავლობაში დაზიანებული გზების რაოდენობასთან
	2	შეკეთებული გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 10000 ბენეფიციარი.	არანაკლებ მაჩვენებლისა	10%	

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება				
	02 01 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოწყობა - რეაბილიტაციას.</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდეს გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველა ოჯახს ჰქონდეს უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება ადმინისტრაციულ ცენტრამდე და ქალაქის მიმართულებით 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ქალაქის და სოფლების გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა 					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	გზების სიგრძე, სადაც განხორციელდება გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში კაპიტალური რეაბილიტაცია ჯამში ჩატარდება 33986 გრძ/მ გზას;	2021 წელს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება დაგეგმილია არანაკლებ 5679 გრძ/მ-ზე	10%	მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს ჩატარებული ტენდერის ეკონომიებისა და სხვა ფინანსური

						რესურსების მობილიზების ხარჯზე;
	2	რეაბილიტირებულ გზებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განახლებული გზებით ისარგებლებს დაახლოებით 35250 ბენეფიციარი.	2021 წელს რეაბილიტირებულ გზებით ისარგებლებს დაახლოებით 2650 ბენეფიციარი.	10%	მიზნობრივი მაჩვენებელი შესაძლებელია შეიცვალოს შეკეთებული გზების რაოდენობის შესაბამისად

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება				
	02 02					
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაციას და არსებული სისტემების მოვლა-პატრონობას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.</p> <p>წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - ადდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებების რაოდენობა	2020 წელს განხორციელდა 1000 ზე მეტი დაზიანების აღმოფხვრა	აღმოფხვრება წლის განმავლობაში ქსელში მომხდარი ყველა დაზიანება, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით დაზიანებების რაოდენობა ნაკარაუდება 1000 შემთხვევის ფარგლებში	5%	წყლის ინფრასტრუქტურა საჭიროებს მუდმივ მოვლა-შეკეთებას, შესაბამისად კონკრეტული პერიოდისთვის შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული დაზიანებები, რომლებიც შემდგომ დროულად იქნება აღმოფხვრილი

	2	სოფლების რაოდენობა რომელთა წყალმომარაგების ქსელის მომსახურება ხორციელდება პროგრამის ფარგლებში	67 სოფელი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	0 %	
	3	მოწყობილი და რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემების რაოდენობა	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 15287 გრძ/მ მაგისტრალის მოწყობა-რეაბილიტაცია მოწყობა 7 ჰაბურდილი, 2 რეზერვუარი და 5 სათავე ნაგებობა	2021 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოს დაგეგმვა განხორციელდება წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისფალი თანხის შესაბამისად.		
	4	პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	2020 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტებით ისარგებლებს 3400 ბენეფიციარი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება		

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია				
	02 02 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, მოვლა-პატრონობა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული საქმიანობაა. ყოველდღიურად ხდება წყლის სათავე ნაგებობებზე შემოვლა შემოწმებები, დაზიანებული მაგისტრალის აღდგენა, შედუღება, ურდულების შეკეთება შეცვლა, იცლება ავზები, სუფთავდება და ივსება, ხდება გაბიძნული მილების გაწმენდა და სხვა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს 24 საათის განმავლობაში მიეწოდება სასმელი წყალი.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება

1	წყალმომარაგების ქსელში აღმოფხვრილი დაზიანებების რაოდენობა	2020 წელს განხორციელდა 1000 ზე მეტი დაზიანების აღმოფხვრა	აღმოფხვრება წლის განმავლობაში ქსელში მომხდარი ყველა დაზიანება, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით დაზიანებების რაოდენობა ნავარაუდებია 1000 შემთხვევის ფარგლებში	5%	
2	სოფლების რაოდენობა რომელთა წყალმომარაგების ქსელის მომსახურება ხორციელდება ქვეპროგრამის ფარგლებში	67 სოფელი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	0%	

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია				
	02 02 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ჭაბურღილების, სათავე ნაგებობებისა და სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა/რეაბილიტაციას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. 					
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობს სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკი; • - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს სასმელ წყალზე აქვს შეუფერხებელი წვდომა; • - აღდგენილი და შეკეთებული წყლის სისტემები ფუნქციონირებს გამართულად; • - წყლის სისტემაში პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. 					
	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	მოწყობილი და რეაბილიტირებული სასმელი წყლის სისტემების რაოდენობა	2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა 15287 გრძ/მ მაგისტრალის მოწყობა-რეაბილიტაცია მოწყობა 7 ჭაბურღილი, 2 რეზერვუარი და 5 სათავე ნაგებობა	2021 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვა განხორციელდება წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისფალი თანხის შესაბამისად.		
		ქვეპროგრამის ფარგლებში	2020 წელს ქვეპროგრამის	საბაზისო მაჩვენებლის		

		განხორციელებული პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ფარგლებში განხორციელებული პროექტებით ისარგებლებს 3400 ბენეფიციარი	შენარჩუნება		
--	--	--	---	-------------	--	--

პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება				
	02 03					
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობას. პროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.					
მოსალოდნელი შედეგი	ღამის საათებში განათებული მუნიციპალიტეტის ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ახალი გარე განათების ლამპიონების რაოდენობა	2019 წელს დამონტაჟდა 385 ერთეული ახალი გარე განათების ლამპიონი ხოლო 2020 წელს 244 ერთეული	2021 წელს გარე განათების სამონტაჟო სამუშაოს დაგეგმვა განხორციელდება წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისფალი თანხის შესაბამისად.		
	2	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შეკეთებული გარე განათების ლამპიონების რაოდენობა	134	წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, შესაკეთებელი სანათების ზრდა უკავშირდება ქსელის დამკველმა (ამორტიზაცია)	10 %	
	3	ჩანაცვლებული სანათების რაოდენობა	2018 წლიდან – 2020 წლის ჩათვლით ჩანაცვლებულია 5336 ცალი	1000	10 %	

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია				
	02 03 01					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში სულ 15 თემია, ქალაქის და მასში შემავალი თემების გარე განათების აღდგენა, განახლება და მოვლა-პატრონობა შედის ააიპ „სერვის ცენტრი“ ს საქმიანობაში. შესასრულებელი სამუშაოებისათვის (ახალი სანათების დაყენება, არსებული დაზიანებული სანათების შეცვლა, დემონტაჟი და მონტაჟი, მასიური გათიშვებისა და დაზიანებების აღმოფხვრა და სიპების (კაბელი) გაჭიმვა, გამანაწილებელი კარადების შეკეთება და სხვა. საახალწლო ილუმინაციების, აქსესუარებისა და ნამკის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების განხორციელება.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	ჩანაცვლებული სანათების რაოდენობა	2018 წლიდან – 2020 წლის ჩათვლით ჩანაცვლებულია 5336 ცალი	1000	10 %	ჩანაცვლებული ნათურების ზუსტი რაოდენობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია
	2	შეკეთებული სანათების რაოდენობა	134	წინასწარ ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია, შესაკეთებელი სანათების ზრდა უკავშირდება ქსელის დაძველებას (ამორტიზაცია)	10%	

პროგრამის /ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის მოწყობა				
	02 03 02					
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (შიდა გზები, მაგისტრალები) გარე განათების ახალი მაგისტრალების მოწყობა ასევე დასასვენებელ სკვერებში და პარკებში განათების მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილი გამართული გარე განათების სისტემა.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება

1	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟებული ახალი გარე განათების ლამპიონების რაოდენობა	2019 წელს დამონტაჟდა 385 ერთეული ახალი გარე განათების ლამპიონი ხოლო 2020 წელს 244 ერთეული	2021 წელს გარე განათების სამონტაჟო სამუშაოების დაგეგმვა განხორციელდება წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული თავისფალი თანხის შესაბამისად.		
---	--	---	---	--	--

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა				
	02 08					
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ათას ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით. ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროულად და კვალიფიციურად მომზადება</p>					
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2020 წელს მომზადდა 131 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	2021 წელს წინასწარი გათვლებით მომზადდება არანაკლებ 100 პროექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	20% - დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალური ტრანსფერის მოცულობაზე	
2	პროექტები, რომელთა სამუშაოების მიმდინარეობას გაეწია ზედამხედველობა	2020 წელს სამშენებლო ზედამხედველობა გაეწია 70 პროექტს,		2021 წელს წინასწარი გათვლებით სამშენებლო ზედამხედველობა გაეწევა 40 პროექტს	20% - დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალური ტრანსფერის მოცულობაზე	

დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მანქანწალა მალეების თავშესაფარში გადაყვანა.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,330.27	1,082.40	1,075.00	1,250.00	1,290.00	1,527.00
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,330.27	918.00	950.00	1,150.00	1,190.00	1,427.00
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.00	101.90	105.00	100.00	100.00	100.00
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	0.00	57.50	0.00			
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0	5	20			

პროგრამის/ქვე პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
	03 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. ლაგოდეხის „სერვის ცენტრი“	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში 5 ერთეული ავტომანქანით სისტემატურად ხორციელდება ქ. ლაგოდეხიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ქ. ლაგოდეხში მდებარე ქუჩებისა და სკვერების დაგვა-დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა შედგენს 470 ერთეულს მათ შორის ქალაქში განთავსებულია 245 ერთეული ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებში 225 ერთეული. პერიოდულად იწმინდება ქალაქში და სოფლებში არსებული სანიაღვრე არხები, ასევე ხორციელდება ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.</p> <p>პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა, ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების მოვლა-შენახვა. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ სერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის პერსონალის ხელფასებს.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონის მიღწევა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, მოვლილი მუნიციპალიტეტი	

შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	პროგრამებით მოსარგებლე (სოფლების)რაოდენობა	ყოველდღიურად სუფთავდება 1 ქალაქი და 70 სოფელი	72 სოფელი		
	2	ნარჩენის გატანა წლიური(ტ)	65.006	66	10%	
	3	დასუფთავებული ტერიტორიები	მუნიციპალიტეტში იგვება და სუფთავდება 5200 კვ/მ მეტი ფართობი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება		
	4	ყოველდღიურად ნარჩენებისგან დაცლილი კონტეინერები	დღეში ხორციელდება და საშუალოდ 360 კონტეინერის გაცლა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%- წლის განმავლობაში შესამღებელია დამატოს დასასუფთავებელი ფართობი, აგრეთვე ურნების დამატების შემთხვევაში დაიცლება მეტი ურნა	

ქვეპროგრამის /ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება				
	03 02					
პროგრამის განმახორციელებელი	ა.ა.ი.პ. „ლაგოდების სერვის ცენტრი“					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა.ა.ი.პ. ლაგოდების სერვის ცენტრი ახორციელებს როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი მწვანე ნარგავების და ყვავილების შესყიდვას. რომლებიც შემდეგ ირგვება ქალაქის სკვერებში, პარკებში, გაზონებზე და სხვა და სხვა ადგილებში. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში ხდება ახალი და არსებული ნარგავების მოვლა პატრონობა: ხდება ხეების შეთეთრება ჩამქრალი კირით, ხდება ნიადაგის სასუქით გამდიდრება, ნარგავები იწამლება სხვა და სხვა ჰერბიციდებით, ხდება გაზონების მორწყვა, ხეების გადაბეღვები, ჭრა ვარჯის ფორმირება, ტერიტორიების თიბვა და სხვა.რისთვისაც სერვის ცენტრი იყენებს სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო მანქანა დანადგარებს: საჭრელებს, სათიბებს და სხვა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დარგვა და არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	ნარგავების რაოდენობა	ამ პერიოდისათვის საბაზისო მაჩვენებელი არ არის	დაირგვება 1200 მირი ნერგი	10%	

2	მოვლილი სასაფლაოები	2019 წლიდან რეგულარულად ხორციელდებოდა 4 სასაფლაოს მოვლა- 11.4 ჰა, 2020 წ დაემატა 2 სასაფლაო 13.4 ჰა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	
3	სკვერებისა და გამწვანებული ტერიტორიების რაოდენობა და ფართობი	ხორციელდება 6 სკვერისა და გამწვანებული ტერიტორიის მოვლა პატრონობა საერთო ფართობით 20 კმ/ 2	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	

ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება	კოდი	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები				
	03 04					
პროგრამის განმახორციელებელი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მყოფი უმეტესაღმრთალოდ დარჩენილი ძაღლების ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანა საჭირო აცრების ჩატარება.</p> <p>პროგრამის მიზანია: უმეტესაღმრთალოდ დარჩენილი ცხოველებზე ზრუნვა.</p>					
მოსალოდნელი შედეგი	უპატრონო ცხოველების მხრიდან გადამტანი დაავადებების გავრცელების დაბალი რისკი.					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	ვეტერინარულ კლინიკაში გადაყვანილი უმეტესაღმრთალოდ დარჩენილი ძაღლების რაოდენობა	2020 წლის განმავლობაში განხორციელდა 60 უმეტესაღმრთალოდ დარჩენილი ძაღლის გადაყვანა ვეტერინარულ კლინიკაში	2021 წელს განხორციელდება დაახლოებით 150 უმეტესაღმრთალოდ დარჩენილი ძაღლის გადაყვანა ვეტერინარულ კლინიკაში	10%	ზუსტი გაანგარიშების გაკეთება შეუძლებელია. მიზნობრივი მაჩვენებელი დათვლილია წინა წლების მაჩვენებლიდან გამომდინარე

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	4,597.74	5,146.04	2,750.00	2,750.00	2,880.00	3,000.00
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,314.76	2,360.00	2,750.00	2,750.00	2,880.00	3,000.00
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,678.29	923.68	0.00	0.00	0.00	0.00
04 03	განათლების ღონისძიებები	604.685	1862.4	0	0	0	0

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
	04 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლავოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება.	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლავოდების მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 31 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1490 ბავშვი. ბავშვბაღებში ჯამში დასაქმებულია 374 ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>პროგრამის მიზანია: ბავშვბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. ბავშვბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>	

მოსალოდნელი შედეგი	<p>ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში ისარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 1700 შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 85%-ს შეადგენს</p>					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	განმარტება
	1	პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	1490	1600	10%	

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

(ათ. ლარი)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,378.01	1,327.00	1,092.91	1,245.00	1,330.00	1,460.00
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,155.45	339.15	109.45	180.00	225.00	300.00
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	850.82	104.08	89.45	160.00	205.00	280.00
05 01 02	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება	0.00	20.00	20.00	20.00	20.00	20.00
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	304.62935	215.072	0			
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	222.57	957.70	960.70	1,030.00	1,065.00	1,110.00
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	0.00	721.70	706.70	800.00	830.00	870.00
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	192.57	194.00	214.00	200.00	205.00	210.00
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	0.00	2.00	0.00			
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	30.00	40.00	40.00	30.00	30.00	30.00
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	0.00	30.16	22.77	35.00	40.00	50.00

პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
	05 01 01	
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)ი.პ ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული ცენტრი აერთიანებს 8-სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (224ბავშვი, გოგო 12, ბიჭი 212); ქართული ჭიდაობა (95 ბავშვი ბიჭები); ძიუდო (40 ბავშვი ბიჭები); ჭადრაკი (15 ბავშვი, გოგო-8 , ბიჭი-7); კალათბურთი (74 ბავშვი გოგო-19 ბიჭი 55). კრივი (35 ბავშვი გოგო-3, ბიჭი-32), ფრენბურთი (72 ბავშვი, გოგო-32 ბიჭი-41) ხელბურთი (25 ბავშვი გოგო-15, ბიჭი-20) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 580 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ. სამსახურის რესურსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით შესაძლებელია გავზარდოთ ბავშვთა რაოდენობა და მეტი ბავშვი იყოს დაკავებული სპორტული ცხოვრებით. ასევე ჩვენი მიზანია მათი მშობლების დაინტერესება, რათა იყვნენ მეტად ჩართულები შვილების სპორტის მიმართულებით განვითარებაში, ამისათვის ვგეგმავთ პერმანენტულ შეხვედრებს მშობლებთან,	

	<p>მწვრთნელებთან და სკოლებთან. სპორტული ცენტრი მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული წრეებით სარგებლობა;</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება;</p>					
მოსალოდნელი შედეგი	გაიზრდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.					
